

აგი მორმონი

დეტექტივების დედოფალი

ღრღნული

მართ ჯოსლინი

აგი მორიტონი

დატეატივების დაღოვალი

გვამი როიალის ქვეშ

მართ ჯონსლინი
დეტექტივების დედოფული აგი მორჩონი
გვამი რობალის ძველ

Kate douglas Wiggin
AGGIE MORTON, MYSTERY QUEEN
THE BODY UNDER THE PIANO

მთარგმნელი: ლეილა ბერიშვილი

ილუსტრატორი: იზაბელ ფოლათი

პროექტის ხელმძღვანელი: ნინო ზაზარაშვილი
რედაქტორი: ლალი ქადაგიძე
დამკაბადონებელი: ნინო გურული

Text copyright © 2020 by Marthe Jocelyn

Illustrations copyright © 2020 by Isabelle Follath

All rights reserved including the right of reproduction in
whole or in part in any form.

This edition published by arrangement with Tundra Book
Group, a division of Penguin Random House Canada Limited.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-928-6

www.diogene.ge

ეძღვნება ტარას











თავი 1

უცნაური მეგობარი

ჯერ იმას მოგიყვებით, ახალი მეგობარი როგორ გავიცანი, გვამის ამბავი მოიცდის. თხრობის ტრადიციული წესებიც ხომ ასეთია – სასიამოვნო გარემოში შეიტყუო მკითხველი, ცოცხალი დიალოგებით დააინტერესო და რამდენიმე მომხიბლავი პერსონაჟიც გამოიყვანო, მერე კი გვამიც დაახვედრო!

ჩემი ახალი მეგობარი სულაც არ იყო ზრდილი ახალგაზრდა ლედი, დედას ან ბებია ჯეინის გემოვნებას რომ შეეფერებოდა. საერთოდაც, ბიჭი იყო და თან – უცხოელი! არ დაგიმალავთ, ცოტა უცნაური ტიპიც. მაგრამ მე ხომ გადავწყვიტე, ადამიანები ისეთები მივიღო, როგორებიც

არიან, პოტენციური მეგობრები კი ქუჩაში არ ყრია, ჩემს გამოგონილებს თუ არ ჩავთვლით. დიახ, არ მოგესმათ – გოგონების მთელი ერთი კლასი გამოვიგონე! და მარტოობის საათებში მათ ათასგვარ თავგადასავალს ვთხზავ. სახელებიც შევარქვი, მათი ტანსაცმლის დიზაინერიცა ვარ, ძალიან ვდარდობ, ერთმანეთს როცა ეკინკლავებიან და გულწრფელად მიხარია, როცა რიგდებიან, ეგ არის – მე არავის ვახსოვარ.

რეალური ადამიანი, თან ჩემხელა, სულ სხვაა და ჩემ-თვის არცთუ ჩვეულებრივი ამბავი.

ოქტომბერში, ერთ შაბათ დილას, ცეკვის გაკვეთილის მერე, ქალთევზას საცეკვაო ოთახიდან მისტერ დილონის ტკბილეულობის მაღაზიაში ჩავედი, იქვე, ერთობის ქუჩაზე. როგორც ყოველთვის, სულ ერთი წამით, ფროსტიფოს (მაღაზიის კატა) ყურებზე მოვუთათუნე და როგორც ყოველ-თვის, შარლოტიც მახლდა. როდის უნდა მიხვდეს დედაჩე-მი, რომ გოგოს, მალე თორმეტი წელი რომ შეუსრულდება, შეუძლია, ერთ საათს გაძლოს მომვლელის გარეშე?

მე და შარლოტმა შევიცადეთ, სანამ ჩემი ცეკვის ჯგუ-ფელმა გოგოებმა იისფერი დრაჟეები და ბალიშა კანფე-ტები არ იყიდეს და თავიანთი ასე ძალიან რომ არ გვინდა მომვლელების თანხლებით შინ არ გასწიეს ლანჩზე. მე კი ვარჩიე, ცოტა დავფიქრებულიყავი და თან ამდენი ადამია-ნის თვალწინ არ განმეცხადებინა, რა მინდოდა. ისედაც, როცა სხვები მისმენენ, ცოტა არ იყოს, პანიკაში ვვარდე-ბი და თავბრუსხვევა მეწყება. დედაჩემმა, ეგ სიმორცხვე დროებითიაო. ერთ დღესაც აღარ გაგიჭირდება უცნობებ-

თან გასაუბრება და მათაც ისევე დაელაპარაკები, როგორც ტონის, ჩვენს ძალლსო. დრო გადიოდა, სიტყვები კვლავ ყელში მეჩხირებოდა და ეს ერთი დღეც აღარ დგებოდა.

ხურდები, დედა ტკბილეულობისთვის რომ მაძლევდა, შარლოტს ეპარა. ისიც იდგა და მოთმინებით ელოდა ჩემს გადაწყვეტილებას. ეს შედიოდა მის სამსახურებრივ მოვალეობებში. ამას გარდა, უნდა მომფრთხილებოდა, ხანაც – ისეთი რამები აეხსნა, რასაც მართლა სჭირდებოდა ახსნა.

მარჯორი (დაც მყავს) პრესტიულ სკოლაში დადიოდა, მაგრამ ჩემი სწავლის დრომ რომ მოაღწია, შვიდი წლის შემდეგ, დედას უკვე თავისი შეხედულებები ჰქონდა ბავშვთა სწავლა-განათლებაზე, რაც, უნდა აღინიშნოს, საკმაოდ განსხვავდებოდა სხვა მშობლების შეხედულებებისგან. დედა თვლიდა, ბავშვები ყველგან უნდა წავიდნენ, სადაც მოესურვებათ, თუმცა მომვლელის მკაცრი თვალიც თან უნდა დაჲყვებოდეთო, თავისუფლად მოხეტიალე სულები და სხეულები სიბრძნესა და კეთილდღეობას ქმნიანო. ეს კი ნიშნავდა, რომ ჩემთვის არც სკოლა არსებობდა, არც გუვერნანტი და არც მეგობრები.

ისტორიასა და ლიტერატურას დედა მასწავლის, მამას წიგნებიდანაც ბევრ რამეს ვიგებ. ბუნების მეცნიერებაში ჩვენს ბალზე დაკვირვება მეხმარება, ბიბლიის ამბებსა და რელიგიაში ყველა წმინდანის ეკლესიაში კვირადღეს სიარული მშველის. ცეკვაში მის მარიანი მავარჯიშებს ქალთევზას ოთახში, როიალსა და მანდოლინაზე დაკვრაში – სხვა ქალი მასწავლებლები. აი, მათემატიკაში მამა მამეცადინებდა, მაგრამ მისი სიკვდილის მერე, გასული ნოემბრიდან აღ-

რაფერი გამიკეთებია. არითმეტიკა კი არ მენატრება, მამა მენატრება, მუდმივად. ორი წლით ადრე მორტონებმა, ანუ ჩვენ, მთელ ინგლისთან ერთად დავიტირეთ დედოფალი ვიქტორია, არადა, თურმე საკუთარ სახლში რა გველოდა! მწუხარება თურმე იწყება და არასოდეს მთავრდება.

არც ერთ დასწავლილ გაკვეთილს და არც ერთ წაკითხულ წიგნს არ აუხსნია ჩემთვის, როგორ შეუძლია უმცირეს ცვლილებასაც კი, უდიდესი ზემოქმედება მოახდინოს სამყაროზე. იმ შაბათს რომ ჩვეულებისამებრ შოკოლადი ამერჩია და არა მარწყვის კამფეტები (რომლებიც მაღლა თაროზე შემოდებულ ქილაში ეწყო და მისაწვდომად ტაბურეტი სჭირდებოდა), ფროსტიფოსაც სხვა დრო რომ შეერჩია თავდასასხმელად პატრონის ფეხსაცმლის თასმებზე (ასე გამომწვევად რომ კონნიალობდნენ), მალაზიის ზარსაც ასე მკვეთრი უღრიალით რომ არ გამოეცხადებინა (რის გამოც შეხტა და შემოტრიალდა მისტერ დილონი) ახალი კლიენტის შემოსვლა, ჰექტორ პერო მინის მიმოფანტული ნამსხვრევებისა და კანფეტების ქაოსში აღარ აღმოჩნდებოდა და აღარც მე და თქვენ გვექნებოდა ახლა რამე სალაპარაკო.

იმწუთას ნამდვილად ვერ მივხვდი, რას მოასწავებდა მოვლენათა ასეთი თანამიმდევრობა. თავიდან ვერც ვერავინ ხვდება ხოლმე. ეს შემდეგაა, როცა ამბები ერთმანეთს წაებმება და დახვავდება, როცა ერთი ბუნებრივად იწვევს მეორეს და მშვიდად და წყნარად ცვლის მოვლენათა მსვლელობას. მაშინ კი დილონის ტკბილეულობასა და კიდევ ათას ნუგარში ფროსტიფომ წინილასავით დაიწივლა და შაქრის ტომრის უკან შეძვრა. მისტერ დილონი ჯერ

თავის დიდ უკანალზე დაეშვა და მერე, თავის დიდ უკანალ-თან ერთად – იატაკზე. ხელებით კი გვანიშნებდა, თქვენი დახმარება არ მჭირდებაო, მაგრამ ვერანაირად ვერ ახერ-ხებდა წამოდგომას. მე და შარლოტი ფრთხილად მივედით ახლოს და ფეხსაცმლის წვერებით დამსხვრეული მინისა და მიმოფანტული მარწყვის კამფეტების შეგროვება ვცადეთ. ზარის ამჟღრიალებელი ისევ კართან იდგა.

– შემიძლია, დაგეხმაროთ? – იკითხა.

იცით, ეს როგორი აქცენტით თქვა? აი, ისე, ყველა სიტ-ყვას რომ მეტისმეტად ანაწევრებენ ხოლმე. ახალმოსულს რძესავით თეთრი კანი და პრიალა შავი თმა ჰქონდა, გამ-ხდარ ტანთან შედარებით, თავი ცოტა დიდი უჩანდა. კოხ-ტად კი ეცვა – მეზღვაურის ზღვის ტალღისფერი ქურთუკი, ქათქათა თეთრი საყელოთი. თუმცა ლეონარდივით სიმპა-თიური მაინც არ იყო. ლეონარდს არ იცნობთ, არა? ჩვენს ბაღში მუშაობს და სამეფო თეატრის დასის ვარსკვლავი მსა-ხიობი გეგონებათ. აი, ამ ბიჭის თვალებმა კი, ძალიან მწვა-ნებ და მბრწყინავმა, ლაიმის წვენით სავსე ჭიქა მომაგონა.

ლაიმის წვენის ფერი თვალები? აგათა კეროლაინ მორ-ტონ, ნუთუ უკეთ თქმა არ შეგეძლო? აი, თუნდაც კაშკაშა ზურმუხტისფერი? გაზაფხულის პირველი ნორჩი ყლორ-ტების ფერი? ან ფარშევანგის კუდის ბუმბულის ფერი?

– ხელს ხომ ვერ შემომაშველებდით, ყმაწვილო? – მის-ტერ დილონი ისევ ისე იჯდა იატაკზე მიმოფანტულ მინის ნამსხვრევებში.

ბიჭმა სწრაფად მიირბინა, მე უფრო ნელა მივუახლოვ-დი. გულწრფელად ვწუხდი, იქნებ მისტერ დილონს სრულია-

დაც არ სიამოვნებდა, ასეთ მდგომარეობაში რომ ვხედავ-დით. მის ადგილას, სირცხვილით მოვკვდებოდი, ასე, მსუქან ხოჭოსავით რომ ვგდებულიყავი ძირს და ფეხზე წამოდგომა ვერ მომეხერხებინა. თუმცა, ხოჭო რომ ვყოფილიყავი, ექვსი ფეხი მექნებოდა და იქნებ უკეთ დამეცვა წონასწორობა?

— ქუჩაში გავალ, იქნებ ვინმე ჯენტლმენი ვიპოვო, რომ დაგვეხმაროს, — თქვა შარლოტმა და მანაც გააუღრიალა კარი ქუჩაში გასვლისას. უცნობ ბიჭს კი უკვე მაგრად ჩაევ-ლო ხელი მისტერ დილონის მარცხენა მკლავისთვის და მის წამოყენებას ცდილობდა. მე მარჯვენა მკლავს ვტაცე ხელი და ფეხით კონდიტერს მივაწექი.

— ერთი, ორი, სამი! — დავიძახე. — აბა, ავწიეთ!

— Un, Deux, Trois! — დაიძახა ბიჭმაც. — Tirez!¹

და მისტერ დილონიც ფეხზე წამოიმართა. სახე ერთიანად გასწითლებოდა, ულვაშები უცახცახებდა. კონდიტერის წინსაფარი გვერდზე მოჰქცეოდა. ნაბიჯის გადადგმა და მის ფეხქვეშ კანფეტების ხრაშახრუშის ატეხა ერთი იყო.

— დიდი მადლობა, — მისტერ დილონმა წინსაფარი გაისწორა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო, შუბლზე გადაისვა, სათვალეც მოიხსნა და აწყლიანებული თვალები შეიმშრალა.

ამასობაში შარლოტიც შემოიჭრა და მაღალი, ფორმიანი ახალგაზრდა კაცი შემოიყვანა.

— ოჟ, — თქვა, — მეტისმეტად დაგვგვიანებია! — სირბილისგან გავარვარებულმა და სუნთქვაშეკრულმა, სასწრაფოდ მოუხადა ბოდიში თანმხლებს. — მისტერ დილონი ია-

¹ Un, Deux, Trois! Tirez! (ფრანგ.) — ერთი, ორი, სამი! ავწიეთ!

ტაკზე დავტოვე, როცა დასახმარებლად გამოვიქეცი და...
სულ ამ ტაბურეტის ბრალია და კატის... ვწუხვარ, ტყუ-
ლად შეგანუხეთ, კონსტებლო.

– არცთუ ტყუილად, მის, – ლოყები შეუვარდისფრდა
პოლიციელს, თუმცა მღელვარება სრულიადაც არ დასტყო-
ბია, ასევე თავაზიანად მოეპყრა მისტერ დილონს, შეამონ-
მა, მოტეხილობა ხომ არ ჰქონდა და გულითადად მიულოცა
ასე ადვილად გადარჩენა.

– მე კონსტებლი მორის ბეკი ვარ, – რატომლაც ქერის
შაქრის ტომარას მიმართა პოლიციელმა, – თუ მომავალში
რამეში დაგჭირდებით.

შარლოტი წამონითლდა, მერე კი რევერანსთან ერთად
განუცხადა:

– გმადლობთ, სერ, მე მის შარლოტ გრეივზი ვარ, ეს კი
– მის აგათა მორტონი, ჩემი ალსაზრდელი.

თავი დავუკარი.

კონსტებლმა ბეკმა ხელი ჩაფხუტთან მიიტანა:

– სასიამოვნოა.

და უცებ ორივეს – კონსტებლისა და შარლოტის – სა-
ხეებს უოლოს პუდინგის ფერი დაედო. აქ შემეძლო ასეთივე
წარმატებით მეთქვა: ოდნავ მოხარშული ორაგულის ფერი,
წითელი პიონის ფერი, ფლამინგოს ფრთის ფერი.

იმ უცნობ ბიჭს გავხედე. ცალი, ლამაზად მოხაზული
შავი წარბი აენია, აშკარად ჩემსავით ფიქრობდა. აქამდე
არასდროს შევსწრებივარ ერთი ნახვით შეყვარების სცენას.
ახლა კი ამ ბიჭის ანეულმა წარბმაც მიმანიშნა, რომ ორივე
სწორედ ამის მომსწრე ვიყავით.

– ნება მიბოძეთ, მეც გაგეცნოთ, – თქვა ბიჭმა. – ჰექტორ პერო ვარ, – უცებ მკვეთრად გადმოიხარა წინ, თითქოს წელში გადატყდაო და თავი დაგვიკრა. უპ, როგორ მინდოდა ერთი გემრიელად ჩახითხითება, მაგრამ როგორ-დაც შევიკავე თავი. რა თქმა უნდა, უცხოელია! არადა, კაი ვინმეა!

– აგი მორტონი, – ვთქვი და რევერანსიც მივაყოლე.

პოლიციელმა ჩაიბურტყუნა, უბანზე უნდა დავბრუნდეო თუ რაღაც და გასასვლელისკენ, ცოტა არ იყოს, მხრებანურული წავიდა. შარლოტს ისე ეჭირა თავი, ვითომ ზედაც არ უყურებდა.

– კარგი, – თქვა მისტერ დილონმა, – ვგონებ, ჩემი მხსნელები ჯილდოს იმსახურებენ.

ორივეს ქალალდის პარკები მოგვაწიდა. – მიდით, აავსეთ, – შემოგვძახა. – ამოირჩიეთ, რაც გენებოთ.

სანაგვე ყუთში ჩაყრილი მარწყვის დამსხვრეული კამფეტები ინტერესს აღარ იწვევდა, ამიტომ გულმა კარამელისკენ გამიწია, შოკოლადები და ფაჯის² ნაჭერიც ავირჩიე. ჰექტორმა პარკი პირამდე აავსო ძირტკბილას შავი დრაჟეთი.

– მესიე, შეიძლება, ქალალდის ნაცვლად ყუთი ავიღო?
– ჰყითხა მისტერ დილონს.

მან ყუთი გაუწოდა, რომლის ფსკერზეც ბიჭმა ფაქიზად ჩაამწკრივა დრაჟები.

² ფაჯი – დესერტი, მზადდება რძის, კარაქისა და შაქრის შერევით.

– თქვენ ახალი ერთგული კლიენტი შეიძინეთ, – თავ-დაჯერებით განუცხადა მისტერ დილონს. – კიდევ მოვალ, გპირდებით.

იმწამსვე გავიაზრე, რომ ჩვენი მომდევნო შეხვედრა მხოლოდ შემთხვევითობის ნება იქნებოდა და ცუდ გუნებაზე დავდექი.

– შაბათობით ყოველთვის აქ ვარ, – გავთამამდი უცებ. შარლოტისკენ არ გამიხედავს. – ყოველთვის ამ დროს.

– მაშინ, აქ შევხვდებით. აბა, მომავალ შაბათამდე.

– შევხვდებით, – ვუპასუხე. – და იქნებ პოლიციის გამოძახების ახალი მეთოდიც მოვიფიქროთ... რას იტყვი, შარლოტ? თან ისეთი, ვინმეს დაცემა რომ არ იყოს საჭირო.



თავი 2

კონცერტის შემთხვევაში აღიაძოთი

რა თქმა უნდა, კვირის შვიდსავე დღეს შაბათის მოლოდინში გავატარებდი იმ იმედით, რომ პექტორ პეროსთან ნაცნობობა განმეახლებინა, რომ არა ნერვების მომშლელი პარასკევი: მის მარიანი ქალთევზას საცეკვაო ოთახში კონცერტს აწყობდა. დაუმეგობრდი უცხოელებს! – ასეთი იყო საღამოს მოწოდებაც და მიზანიც.

საგანგებო პოეტური მიძღვნაც კი შევთხზე, რომელიც ასევე თავად უნდა წამეკითხა. მთელი კვირა იმას ვნატრობდი, პარასკევი საღამო არასდროს დამდგარიყო ან უკვე მოლეული მქონოდა... მაგრამ ახლა ჯერ კიდევ აქ ვარ, კონცერტის დაწყებამდე ერთი საათია დარჩენილი, როია-